ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1662866

ნომერი: AR1272083

თარიღი : 10.12.2014

გაცემის თარიღი : 29.12.2014

გაცნობის თარიღი : 29.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კუხალაშვილი პ/ნ 01030018544
- დ.აღმაშენებლის 75

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.2010 წ. #398 სამშენებლო დამიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 10.12.2014 წ. #AR1272083 განცხადებით მომართა „შპს ემემჯი–2008“–ის დირექტორის აბესალომ ბერბერაშვილის მინდობილმა პირმა ზურაბ კუხალაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 24.03.2010 წ. #398 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 24.03.2010 წ. ქ. თბილისში, რაფიელ აგლაძის ქ. #47–ში მდებარე 10285 კვ.მ. მიწის

ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.05.003.036) საზოგადოებრივი დანიშნულების (დამხმარე) ობიექტის ასაშენებლად გაიცა №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 2011 წლის 09 სექტემბრის №3634, 2011 წლის 20 დეკემბრის №5207, #661731 (26.04.2013) და #228519 (22.06.2012) ბრძანებებით აღნიშნულ ქალაქთმშენებლობით პირობებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.13.05.003.081 ფართობი: – 1894 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულს შეცვლილი აქვს მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.2010 წ. #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.13.05.003.081, ფართობი: – 1894 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.2010 წ. #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 1894 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს: - #01.13.05.003.081;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.2010 წ. #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: თუ მიწის ნაკვეთის ახალი ფართობიდან გამომდინარე მოხდება ქალაქთმშენებლობით პარამეტრებთან მიმართებაში შენობის შეუსაბამობის გაზრდა და სამეზობლო მიჯნების დარღვევა, აღნიშნული საკითხი უნდა იყოს განხილული პროექტის კორექტირების სტადიაზე;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.2010 წ. #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 2011 წლის 09 სექტემბრის №3634, 2011 წლის 20 დეკემბრის №5207, #661731 (26.04.2013) და #228519 (22.06.2012) ბრძანებებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.